სს "თიბისი ბანკი", სათავო ოფისი
JSC "TBC Bank", Head Office

178/106-24
26.02.2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს თიბისი ბანკი ს/კ თანახმაა მოხდეს ქ. თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა N39-ში ს/კ01.16.03.010.002 მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული N01/3, N02/3 და N07/1 შენობების დემონტაჟი და შეთანხმდეს შესაბამისი პროექტი.

გრიგორი ჯაბიშვილი (პ# 01024029281)
რისკების მართვის დირექტორის მოადგილე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

87177170276624

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240051084

რეგისტრაციის თარიღი

17.01.2024 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7,II სართული.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ჩვიდმეტ იანვარს მე, ნოტარიუს **მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული,** მომმართა **ნინო მასურაშვილმა,** როგორც სს „თიბისი ბანკის“ დირექტორმა(ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის“ შესახებ, **განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი:B24003017, 11/01/2024 17:35:34, ს/ნ 204854595),** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა და ქმედუნარიანობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწმუნდი, რომ ნამდვილად **ნინო მასურაშვილმა (დაბ.07.01.1975წელს, თბილისში, მცხ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N 49ბ ბ. 32, N 4, პ/ნ№ 01008017186, ბარათი 20IE60964,** გაც. **იუსტიციის სამინისტროს მიერ 11.06.2022 წელს) მომმართა.** მე შევადგინე მინდობილობის ტექსტი, წავუკითხე **ნინო მასურაშვილს.** მან მოიწონა მინდობილობის შინაარსი და პირადად, ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაოთხი წლის ჩვიდმეტ იანვარს, მე ნინო მასურაშვილმა, როგორც სს „თიბისი ბანკის“ დირექტორმა (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის“ შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი:B24003017, 11/01/2024 17:35:34, ს/ნ 204854595), ამ მინდობილობით **გრიგორი ჯაბიშვილს (დაბ.15.02.1975წელს, პ/ნ #01024029281)** მივანიჭე წარმოადგინოს ბანკი მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის ფიზიკურ პირებთან, ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირთან, ნოტარიუსთან, სასამართლოში, აღსრულებაში, სახელმწიფო/ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში დამოუკიდებლად შემდეგი უფლებამოსილებების ფარგლებში:

1. რწმუნებული უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის“ სახელით ხელი მოაწეროს **საკრედიტო პროდუქტებით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკისა და ნასყიდობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, უძრავი ნივთის განკარვის შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, აკრედიტივის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ;
2. საკრედიტო პროდუქტების გაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების, მათ შორის, საკრედიტო, იპოთეკის ხელშეკრულებების, გირავნობის ხელშეკრულებების, აგრეთვე საკრედიტო პროდუქტების გაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებში, მათ შორის საკრედიტო, იპოთეკის, გირავნობის ხელშეკრულებებში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებული შეთანხმებების/გარიგებების ხელმოწერა, სარეგისტრაციო განაცხადების ხელმოწერა და წარდგენა შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში (მათ შორის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო და სხვა),
3. რწმუნებული უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის“ სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას, მათ შორის მოთხოვნის უფლების დათმობასთან/მოთხოვნის უფლების შეძენასთან/ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვასთან/ვალის პატიებასთან/ვალის გადაკისრებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებას, მათ შორის გარიგებას, რომლითაც ხორციელდება ბანკის ვალის/ვალდებულების მესამე პირზე გადაცემა/გადაკისრება და/ან მესამე პირის ვალდებულების ბანკისათვის გადმოცემა/გადმოკისრება;

4. სს „თიბისი ბანკის“ სახელით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში ხელი მოაწეროს და წარადგინოს ნებისმიერი სარეგისტრაციო განცხადება და გარიგება, რომელიც დაკავშირებული სს „თიბისი ბანკის“ მონაწილეობით დადებულ გარიგებათა რეგისტრაციასთან, მათ შორის: ბანკის კუთვნილი უძრავი ნივთის გამოჯვნა/გაყოფა, გაერთიანება, მონაცემების დაზუსტება/შესწორება, მონაცემებში ხარვეზის აღმოფხვრა/გამოსწორება, უფლებრივი შეზღუდვის, ვალდებულების, შეზღუდვის ან/და აკრძალვის დადება/მოხსნა და ცვლილება, იპოთეკისა და გირავნობის შესახებ ხელშეკრულებები, ბანკის საკუთრებაში ქონების მიღების და არსებული საკუთრების გასხვისების ხელშეკრულებები, იპოთეკით/გირავნობით დატვირთულ უძრავ/მოძრავ ქონებაზე იპოთეკის/გირავნობის მოხსნის წერილები. უძრავ-მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების/გარიგებების, გამოსყიდვის ხელშეკრულებების, მათ შორის, მოვალისა და კრედიტორის ერთობლივი განცხადებით ქონების დასაკუთრებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების/გარიგებების, აგრეთვე

კუთრების უფლების ნებისმიერი სხვა ფორმით გადაცემასთან დაკავშირებული გარიგებების, ნასყიდობის ხელშეკრულებაში/გარიგებაში ცვლილებ(ებ)ის განხორციელებასთან დაკავშირებული შეთანხმებების/გარიგებების, არეგისტრაციო განაცხადების ხელმოწერა; უძრავ-მოძრავი ქონების იჯარით/ქირავნობით გაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების/გარიგებების, მათ შორის იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულებაში/გარიგებაში ცვლილებ(ებ)ის განხორციელებასთან დაკავშირებული შეთანხმებების/გარიგებების ხელმოწერა, იჯარის/ქირავნობის უფლების რეგისტრაცია/მოხსნა და ცვლილების განხორციელება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში, არეგისტრაციო განაცხადების ხელმოწერა და წარდგენა;

5. სს „თიბის,ი ბანკის“ სახელით შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ხელი მოაწეროს გირავნობის რეგისტრაციის, რეგისტრირებული გირავნობის მოხსნის, ცვლილების, რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილების, გირავნობაში არსებული მოძრავი ქონების მათ შორის სატრანსპორტო საშუალების ბანკის სახელზე პირდაპირ საკუთრებაში მიღების, გირავნობის საგნის მესამე პირზე პირდაპირი წესით რეალიზაციის, გირავნობის მოწმობის აღების, აღსრულების, გირავნობით დატვირთვის გარიგებებსა და განცხადებებს.

6. წინამდებარე მინდობილობით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესახებ გადაწყვეტილებ(ებ)ის მიღება და შესაბამისი დოკუმენტების/გარიგებების ხელმოწერა.

7. მარწმუნებლის (სს “თიბისი ბანკი“) სახელით მიიღოს გადაწყვეტილება “მარწმუნებლის“ საკუთრებაში არსებული აქტივის მიმართ იმ ტიპის ხარჯების გაღებასთან დაკავშირებით, რომლებიც კაპიტალიზირდება და საბოლოოდ აისახება დასაკუთრებული ქონების საბალანსო ღირებულებაში. “რწმუნებული“ უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული ტიპის ხარჯების გაღებასთან დაკავშირებით, თუ თანხის ოდენობა არ აღემატება 100,000 ლარს (გადასახადების ჩათვლით). “რწმუნებული“ ასევე უფლებამოსილია, ხელი მოაწეროს ასეთი ხარჯის გაღების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში გასაფორმებელ ხელშეკრულებას და ასევე მოახდინოს მისი გადარიცხვის თაობაზე დასტურის გაცემა.

8. სს „თიბისი ბანკის” სახელით საქართველოს ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიაში და მის ყველა სტრუქტურულ ერთეულებში, საკრებულოებში, გამგეობებში ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტს, გარიგებას, თანხმობას, მოთხოვნას, განაცხადს და გასცეს შესაბამისი თანხმობები, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში და იყოს ბანკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

9. რწმუნებული უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნოტარიუსთან დეპონირების ხელშეკრულებას/ოქმს, ხელი მოაწეროს და წარადგინოს განცხადება ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნის შესახებ, წარადგინოს ხელშეკრულებები და სხვა დოკუმენტები, მიიღოს და ჩაიბაროს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, ხელი მოაწეროს სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს/გარიგებებს, რომელთა დადებაც აუცილებელი იქნება წინამდებარე რწმუნებულებით გათვალისწინებული ნებისმიერი დავალების შესასრულებლად.

10. რწმუნებული ასევე უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის“ სახელით ხელი მოწეროს მესამე პირებისთვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილს/შეტყობინებას, მათ შორის კლიენტისთვის გასაგზავნ და კლიენტთან დაკავშირებით მესამე პირებისათვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილებს/შეტყობინებებს;

11. რწმუნებული უფლებამოსილია, მესამე პირზე გასცეს ცნობა/თანხმობა მარწმუნებლის კუთვნილი უძრავი ქონების მდებარეობის მისამართზე სამოქალაქო რეგისტრაციის განხორციელების შესახებ

12. რწმუნებული უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს და ხელი მოაწეროს სახელმწიფო თუ ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებში წარსადგენ ცნობებს, დამოუკიდებლად განსაზღვროს მათი შინაარსი მარწმუნებლის ინტერესების შესაბამისად. რწმუნებული უფლებამოსილია, ჩაიბაროს მარწმუნებლის სახელზე შედგენილი კორესპოდენცია, მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს ყველა იურიდიული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით შედგენილ დოკუმენტაციას.

13. რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებელი კომუნალური მომსახურების საკითხებზე (ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება, წყალმომარაგება, დასუფთავება) ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირთან ურთიერთობის დროს. აღნიშნულ ორგანოებში წარადგინოს განცხადება/დოკუმენტაცია მარწმუნებლის აბონენტად რეგისტრაციის, კომუნიკაციის შეჩერების, შეწყვეტის ან/და აღდგენის თაობაზე, ასევე აბონენტის მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაციაზე, დავალიანების ჩამოწერა/დაკორექტირებაზე, დადგეს აბონენტად/ქვეაბონენტად, ან/და განახორციელოს სხვა ნებისმიერი ქმედება, მათ შორის მიიღოს ინფორმაცია სააბონენტო დავალიანების შესახებ. რწმუნებული ასევე უფლებამოსილია, ჩაიბაროს მარწმუნებლის სახელზე შედგენილი კორესპოდენცია, მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს ყველა იურიდიული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით შედგენილ დოკუმენტაციას. რწმუნებული უფლებამოსილია, მესამე პირზე გასცეს ცნობა/თანხმობა მარწმუნებლის კუთვნილ უძრავ ქონებაზე აბონენტად/ქვეაბონენტად რეგისტრაციის შესახებ.

14. რწმუნებული უფლებამოსილია დაიცვას „მარწმუნებლის“ ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები სასამართლოში/არბიტრაჟში; ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში/არბიტრაჟში (აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო, სისხლის ან/და ადმინისტრაციულ საქმეს) და უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება, აპლიკაცია ან/და სარჩელი, გადაიხადოს სახელწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, შეცვალოს სარჩელის საგანი ან/და

ფუძველი, გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, არადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, დაამთავროს საქმე მორიგებით, მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს მეორე მხარის სარჩელი, გამოიხმოს და/ან უარი თქვას თავის სარჩელზე;

15. წარმოადგინოს მარწმუნებელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში, მის ტერიტორულ ორგანოებში და კერძო აღმასრულებელთან, ისარგებლოს აღსრულების პროცესში მხარისათვის კანონით მინიჭებული ყველა უფლებით: შეაჩეროს, შეწყვიტოს სააღსრულებო წარმოება, გამოიხმოს სააღსრულებო ფურცელი, მიიღოს სააღსრულებო ფურცლის, გადაწყვეტილების დედანი და სხვა. აწარმოოს გამარტივებული საქმისწარმოება ბანკის სახელით, გაასაჩივროს საქართველოს სააღსრულებო ბიუროს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, ბრძანება და სხვა); გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია;

16. რწმუნებული უფლებამოსილია მიმართოს სადაზღვევო კომპანიებს, სადაც დაზღვეულები არიან ბანკის კლიენტები. წარადგინოს დოკუმენტაცია და მიმართვა გარდაცვლილ კლიენტებზე სადაზღვევო თანხების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოქმედების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია იქონიოს პირდაპირი კომუნიკაცია სადაზღვევო კომპანიების შესაბამის წარმომადგენლებთან.

17. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს/ხელშეკრულებას/შეთანხმებას, რომელიც მართალია, პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია ამ რწმუნებულებით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად.

18. რწმუნებული უფლებამოსილია წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებემოსილებები მთლიანად ან/და ნაწილობრივ გადაანდოს ნებისმიერ მესამე პირს და წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში თავად განსაზღვროს ამ გადანდობის შინაარსი და ფარგლები;

19. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად;

20. ეს მინდობილობა ძალაშია 2026 (ორი ათას ოცდაექვსი) წლის 17 (ჩვიდმეტი) იანვრის ჩათვლით.

მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

საზღაური: 30.00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, რეგისტრაციის საფასური: 5.00 ლარი (39-ე მუხლის თანახმად) და დღგ 5.40 ლარი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად), სულ 40.40 ლარი.

ნინო მასურაშვილი ნინო მასურაშვილი

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

ნოტარიუსი მედეა გვაზავა NOTARY MEDEA GVAZAVA 01008018186 საქართველო GEORGIA

